Besik Kvachantiradze
E-mail: b.kvatchantiradze@gmail.com
PhD Students,Batumi Shota Rustaveli state University,
Batumi, Georgia
https://orcid.org/0000-0003-2833-1007

FORMATION OF EFFECTIVE BUSINESS ENVIRONMENT IN GEORGIA WITH THE ASSISTANCE OF

Abstract: *The article discusses the stages of formation of the business environment of Georgia and the ways of its improvement with the cooperation of the European Union. Strengthening relations with the European Union has been the main goal of Georgia's foreign policy for years. Small and medium-sized enterprises, which are the basis of the successful development of the European Union, in recent decade have been operating in close collaboration with large businesses. Therefore, in our opinion, it is interesting to analyze the ratio of large, medium and small enterprises in the European Union. Since Georgia has taken the direction to European development, a number of reforms have been implemented in the country to encourage small and medium-sized businesses, which in turn has a possitive effect on the development of the country's overall economy. In addition to the state support for small businesses in the European Union, all member states have their own national system for stimulating the development of small businesses, the purpose of which is to create an economic climate that will contribute to the creation of economic conditions and normal functioning. This, in the first place, includes the creation of national institutions and the organization of financial assistance, training system for enterprise manager and entrepreneurs who want to start independent activities. Under taking European experience and mechanisms into consideration, a number of projects were implemented in Georgia, which contributed to the expansion and development of Georgian small and medium-sized businesses, in addition, retraining of the Georgian workforce and adjusting working conditions to European standards. Moreover, Georgia can greatly accelerate its economic development, strengthen its competitiveness and achieve its goals - through sustainable growth and job creation. Cooperation with the European Union offers Georgia great opportunities for learning, innovation and integration into the global economy. The article offers recommendations and suggestions that focus on creating closer relations with the European Union and attracting more foreign investment, which will ensure the economic prosperity of the country.*

Keywords: *Business environment, small and medium business, cooperation with the European Union.*

JEL classification: *O1, G2, E4*

ბესიკ კვაჭანტირაძე
ელ-ფოსტა: b.kvatchantiradze@gmail.com
დოქტორანტი, ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ბათუმი, საქართველო
https://orcid.org/0000-0003-2833-1007

საქართველოს ეფექტური ბიზნესგარემოს ფორმირების ეტაპები და სირთულეები

აბსტრაქტი: *სტატიაში განხილულია საქართველოს ბიზნეს გარემოს ფორმირების ეტაპები და მისი სრულყოფის გზები ევროკავშირთან თანამშრომლობის ფონზე. ევროკავშირთან ურთიერთობის გაძლიერება წლების განმავლობაში რჩება საქართველოს საგარეო პოლიტიკის მთავარ მიზნად. მცირე და საშუალო საწარმოები, რომლებიც საფუძვლად უდევს ევროკავშირის წარმატებულ განვითარებას ბოლო ათწლეულების განმავლობაში, ფუნქციონირებენ მსხვილ ბიზნესთან მჭიდრო თანამშრომლობით. ამიტომ, ჩვენი აზრით, საინტერესოა ევროკავშირში მსხვილი, საშუალო და მცირე საწარმოების თანაფარდობის ანალიზი. ვინაიდან საქართველოს აღებული აქვს ევროპული განვითარებისკენ გეზი, ქვეყანაში არაერთი რეფორმა გატარდა, მცირე და საშუალო ბიზნესების წასახალისებლად, რაც თავის მხრივ, დადებითად მოქმედებს ქვეყნის საერთო ეკონომიკის განვითარებაზე. ევროკავშირში მცირე ბიზნესებისთვის სახელმწიფო მხარდაჭერის გარდა, ყველა წევრ ქვეყანას აქვს მცირე ბიზნესის განვითარების სტიმულირების საკუთარი ეროვნული სისტემა, რომლის მიზანია ეკონომიკური კლიმატის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს ეკონომიკური პირობების შექმნას და ნორმალურ ფუნქციონირებას. ეს არის, უპირველეს ყოვლისა, ეროვნული ინსტიტუტების შექმნის, ფინანსური დახმარების, საწარმოს მენეჯერების ტრენინგების სისტემის ორგანიზება, მეწარმეების ტრენინგი, რომელთაც სურთ დაიწყონ დამოუკიდებელი საქმიანობა. ევროპული გამოცდილების და მექანიზმების გამოყენებით, ევროკავშირთან თანამშრომლობით საქართველოში არაერთი პროექტი განხორციელდა, რამაც ხელი შეუწყო ქართული მცირე და საშუალო ბიზნესების გაფართოებასა და განვითარებას, გარდა ამისა, მოხდა ქართული მუშა-ხელის გადამზადება და სამუშაო პირობების ევროპულ სტანდარტებზე მორგება. საქართველოს შეუძლია მეტად დააჩქაროს თავისი ეკონომიკური განვითარება, გააძლიეროს კონკურენტუნარიანობა და მიაღწიოს მიზნებს - მდგრადი ზრდისა და სამუშაო ადგილების შექმნით. ევროკავშირთან თანამშრომლობა საქართველოს სწავლის, ინოვაციების და გლობალურ ეკონომიკაში ინტეგრაციის ულევ შესაძლებლობებს სთავაზობს. სტატიაში შემოთავაზებულია რეკომენდაციები და წინადადებები, რომლებიც ფოკუსირდება ევროკავშირთან უფრო მჭიდრო ურთიერთკავშირის შექმნასა და მეტი უცხოური ინვესტიციის მოზიდვაზე, რაც უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკურ კეთილდღეობას.*

საკვანძო სიტყვები: *ბიზნესგარემო, მცირე და საშუალო ბიზნესი, ევროკავშირთან თანამშრომლობა*

JEL კლასიფიკაცია: *O1, G2, E4*

შესავალი

თანამედროვე სამყარო მუდმივად ისწრაფვის ეკონომიკური და პოლიტიკური სიახლეებისკენ. რადგან ეკონომიკა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ადამიანთა ყოველდღიურ საქმიანობაში, საჭიროა ბიზნესის განვითარების არსებული ტემპის გაუმჯობესება და სიახლეების მუდმივი ძიება. ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერე უპირველეს ყოვლისა ბიზნესის განვითარებაზეა დამოკიდებული. შესაბამისად, ყველა ხელისუფლების უპირობო ამოცანაა დანერგოს და ხელი შეუწყოს საკუთარ ქვეყანაში ინოვაციების წახალისებას და ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებას. სტატიაში განხილულია საქართველოში ბიზნეს სექტორის განვითარების გზა ევროკავშირთან თანამშრომლობის ფონზე. ჩვენი ქვეყნის მიზანი, რომელიც გულისხმობს ევროპული ბიზნესგარემოს მსგავსად საშუალო და მცირე ბიზნესების განვითარებას მეტად მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობისთვის, ვინაიდან იგი არა მხოლოდ გავლენას ახდენს სახელმწიფოს ეკონომიკაზე, არამედ დიდ როლს თამაშობს მთლიანი შიდა პროდუქტის ფორმირებაზე. ხაზგასასმელია ის ფაქტიც, რომ საქართველოს, როგორც პოსტსაბჭოთა ქვეყანას ბიზნესის განვითარებას დიდი ისტორია არ აქვს, თუმცა იგი საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის მომენტიდან ცდილობს ფეხი აუწყოს გლობალურ ეკონომიკურ ტენდენციებს და ჩაერთოს საერთაშორისო ბიზნესის ცხოვრების ტემპში. ჩვენი საკვლევი თემა სწორედ, რომ ევროკავშირის დახმარებით ბიზნეს გარემოს ფორმირებას ეხება. ვინაიდან, ვფიქრობთ, რომ ჩვენი ქვეყანა ერთერთი მსხვილი საინვესტიციო ობიექტია და შესაძლებლობა აქვს ტურიზმის, სასტუმრო/სარესტორნო ბიზნესისა და სოფლის მეურნეობის კუთხით ბევრი ინვესტორი დააინტერესოს, რაც გაზრდის ეკონომიკურ კეთილდღეობას ქვეყანაში. ვფიქრობთ, ჩვენი საკვლევი თემა საინტერესოა იმ კუთხითაც, რომ საქართველო ჯერ ისევ განვითარებადი ქვეყანაა და მისი ბიზნეს გარემო მუდმივ ცვლილებებს განიცდის და ადაპტირდება სიახლეებთან ევროპული პროექტების მეშვეობით. აქედან გამომდინარე, საკითხი აქტუალური და მნიშვნელოვანია.

კვლევის მიზანი

ევროკავშირთან თანამშრომლობის შედეგად მცირე და საშუალო ბიზნესების განვითარების ტენდენციების მიმოხილვა საქართველოში. ჩვენი ქვეყანა მოწინავე რეგიონია ბიზნესისა და ინვესტიციების თვალსაზრისით, თუმცა ამ სექტორში არაერთ პრობლემას ვაწყდებით. ბიზნესის სტაბილური და შეუფერხებელი განვითარებისთვის აუცილებელია არსებული საფრთხეების დაფიქსირება და ევროპული პარტნიორი

ქვეყნების მიდგომების გაანალიზება. ჩვენი კვლევის ობიექტს წარმოადგენს ბიზნეს-სექტორის განვითარების ეტაპები საქართველოში და მათი შედარება ევროპულ პრა-ქტიკებთან, ხოლო კვლევის საგანია ქვეყანაში არსებული ბიზნესგარემო, ბიზნესზე მოქმედი ფაქტორები, ჩვენი ქვეყნის კონკურენტუნარიანობის განსზღვრა, არსებული მდგომარეობა და პოტენციალი.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის პროცესში გამოყენებულია თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდების ერთობლიობა. გამოყენებულია წარმოდგენილი მოსაზრებებისა და სამარ-თლებრივი ნორმების ანალიზი, ლოგიკური მიდგომებისა და თეორიული მასალების შესწავლის შედეგების შეფასების მეთოდები. მონაცემების შესწავლის შედეგად დასა-ბუთებულია წარმოდგენილი მოსაზრებები, და შეთავაზებულია პრობლემის გა-დაჭრის კონკრეტული მიმართულებები.

ძირითადი ნაწილი

ბიზნესის განვითარება საქართველოში ემთხვევა თანამედროვე მსოფლიო ტენ-დენციებს შერეული ეკონომიკის ჩამოყალიბებაში, შესაბამისი ეკონომიკური ჩარჩოს მიღებით, რომელიც აბალანსებს კონკურენტული ბაზრის დინამიკასა და სახელმწიფო ზედამხედველობას. მცირე და საშუალო საწარმოები წარმოადგენს წამყვან მიმართულებას, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ეკონომიკური ზრდის ტემპზე, დასაქმების დონეზე და მთლიანი შიდა პროდუქტის შემადგენლობასა და მასშტაბზე. მცირე და საშუალო ბიზნესის რეგულირების ანალიზი ითვალისწინებს ევროკავშირის ეკონომიკის მრავალსაფეხურიან სტრუქტურას და იკვლევს ევროკომისიის მარეგუ-ლირებელ მექანიზმებს როგორც მაკრო, ისე მეზოეკონომიკურ დონეზე. ეს გულისხმო-ბს მცირე და საშუალო ბიზნესისა და ტრანსნაციონალური კორპორაციების, კომპლექ-სების, ინდუსტრიებისა და ერთიანი ბაზრების ურთიერთქმედების შესწავლას. სახელმწიფოს ეკონომიკური მიზანი ბიზნესთან მიმართებაში, როგორც ეკონომიკის დამოუკიდებელი სექტორი, ჩვენი აზრით, შეიძლება განისაზღვროს რაოდენობრივი და თვისობრივი პარამეტრების სისტემის სახით, რომელიც უნდა განხორციელდეს კონკრეტული სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების შედეგად. ამ პარამეტრებმა ბიზნესი შეიძლება გამოაფხიზლოს როგორც მთლიანად ქვეყანაში, ასევე სექტორულ და რეგიონალურ კონტექსტში. ეკონომიკური მიზნის მიღწევა დამოკიდებულია საწა-რმოების ფუნქციონირების მდგრადობაზე, საინვესტიციო პროცესების გააქტიურე-ბაზე, ფინანსური და საკრედიტო სისტემის განვითარებაზე და შრომისა და კაპიტა-ლის ბაზრების განვითარებაზე. მცირე და საშუალო ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭე-რის სტრატეგიული ამოცანაა არა მხოლოდ მცირე საწარმოების ფინანსური, მატერია-ლური, ტექნიკური და სხვა რესურსების გადაცემა, არამედ მათი გადარჩენის ეკონო-მიკური, სოციალური და სამართლებრივი პირობების, ”იმუნიტეტის” შექმნა, ზრდისა და თვითკმარობის უნარი. (ბიზნესის განვითარებისა და გაციფრულების ხელშეწყობა

საქართველოში, 2022)

ეკონომიკური პირობები, პირველ რიგში მდგომარეობაა:

• კაპიტალის ბაზარის;

• შრომის ბაზარის;

• საინვესტიციო საქონლის, მიწის და სხვა უძრავი ქონების ობიექტების ჩათვლით.

1992 წლიდან, მას შემდეგ რაც, საქართველომ დამოუკიდებლობა აღიდგინა, ევროკავშირთან ურთიერთობის გაძლიერება წარმოადგენს საქართველოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზანს. ეს კავშირი კიდევ უფრო გაღრმავდა პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებით, რომელსაც ხელი მოეწერა 2005 წელს. შეთანხმების საფუძველზე ევროკავშირმა და საქართველომ დადეს ორმხრივი შეღავათიანი მოპყრობის შეთანხმება და ჩვენს ქვეყანას მიენიჭა წვდომა პრეფერენციების ზოგად სისტემაზე (GSP+), რაც გულისხმობს ევროკავშირში ექსპორტირებულ საქონელზე საბაჟო გადასახადებისგან გათავისუფლებას და ტარიფის შემცირებას.

2004 წლიდან საქართველო მონაწილეობს ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკაში, რაც ხელს უწყობს სტაბილურ და მყარ ურთიერთობას. 2009 წელს აღმოსავლეთ პარტნიორობის (EaP) დაწყებამ კიდევ უფრო გააძლიერა ეს ურთიერთობა, რითაც უზრუნველყოფილი იქნა სტრუქტურირებული ჩარჩო ევროკავშირსა და აღმოსავლეთ ევროპის ექვს პარტნიორ ქვეყანას შორის. EaP-მა რეგულარული პოლიტიკური დიალოგების წამოწყებას შეუყო ხელი ევროკავშირსა და აღმოსავლეთ ქვეყნებს შორის. შესაბამისად გაძლიერდა თანამშრომლობა, როგორც რეგიონულ, ისე გლობალურ საკითხებთან მიმართებაში. გარდა ამისა, 2014 წელს ევროპარლამენტმა დაამტკიცა უვიზო მიმოსვლა საქართველოს მოქალაქეებისთვის შენგენის ზონაში. ამ ცვლილებამ ქართველებს საშუალება მისცა ესტუმრონ ევროკავშირის ქვეყნების უმეტესობას ხანმოკლე პერიოდით ვიზის მოპოვების გარეშე, რაც ხელს უწყობს საქართველოსა და ევროპულ ქვეყნებს შორის მჭიდრო კავშირების შექმნას.

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირთან ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია საქართველოს ბიზნეს ლანდშაფტზეც. ეს შეთანხმება, ჩვენი აზრით, იყო საქართველოს ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის ქვაკუთხედი. ამ შეთანხმების საშუალებით საქართველო შევიდა ევროკავშირის შიდა ბაზარზე, რითაც ხელი შეეწყო როგორც საქონლის, ისე სერვისების ვაჭრობის ლიბერალიზაციას.

ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ DCFTA-ს განხორციელებამ გზა გაუხსნა ქართულ საქონელსა და მომსახურებას, რომლებიც აკმაყოფილებდნენ დადგენილ კრიტერიუმებს, წვდომა გლობალურ ბაზარზე, რაც მოიაზრებს 28 ქვეყანას 500 მილიონზე მეტი პოტენციური კლიენტით. გარდა საქონლისა და მომსახურების ექსპორტის შესაძლებლობისა, მიგვაჩნია, რომ ევროკავშირთან ურთიერთობა პირდაპირ კავშირშია

ქვეყანაში შემოდინებულ ინვესტიციებთან. (ევროკავშირის ბიზნესგარემო, 2017)

კორუფცია, რომელიც ჩვენს ქვეყანაში დიდი ხნის პრობლემას წარმოადგენდა, შერბილდა საჯარო დაწესებულებებში სერვისებზე ელექტრონული ხელმისაწვდომობის განხორციელებით და ლიბერალიზაციის რეფორმებით. საერთაშორისო გამჭვირვალობის კორუფციის აღქმის ინდექსით (Corruption Perceptions Index) საქართველოს 45-ე ადგილი უკავია გლობალურად და პირველი კავკასიის რეგიონში, 2022 წელს 100-დან 55 ქულით წინ უსწრებს ევროკავშირის ბევრ წევრ ქვეყანას. ამ რეიტინგის შემდგომი გაძლიერებისთვის, ჩვენ გვჯერა, რომ აუცილებელია მთავრობის ონლაინ ხელმისაწვდომობის გაფართოება. სერვისები, ადმინისტრირების პროცესების გაციფრულება უფრო მეტი გამარტივების მიზნით და აღმოფხვრა ბიუროკრატიული დაბრკოლებებისა და უკანონო საქმიანობების.

ბოლო წლების მონაცემებით, 2023 წლის პირველ და მეორე კვარტალში ინვესტიციების შესამჩნევი ზრდა შეინიშნება წინა წლების შესაბამის პერიოდებთან შედარებით. კერძოდ, 2023 წლის პირველ კვარტალში სააქციო კაპიტალი წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 17.0%-ით გაიზარდა, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 60.5%-ს შეადგენს. უფრო მეტიც, 2023 წლის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად აღემატება 2020 და 2021 წლების მონაცემებს. ჩვენ ამ ტენდენციას მივაწერთ COVID-19 პანდემიას, რამაც გამოიწვია იმ წლების განმავლობაში ინვესტიციების მაჩვენებლების კლება.

ევროკავშირთან თანამშრომლობა საქართველო ხელს უწყობს ინოვაციური პოტენციალის განვითარებაში. თუმცა, აღსანიშნავია, რომ 2022 წლის გლობალური ინოვაციების ინდექსში (GII) საქართველოს რეიტინგი წინა წელთან შედარებით შემცირდა და 63-ე ადგილიდან 74-ე ადგილზე ჩამოვიდა, რაც 11%-იან კლებას წარმოადგენს. GII აფასებს ქვეყნებს შემდეგ კატეგორიებში: ინსტიტუტები, ადამიანური კაპიტალი და კვლევები, ინფრასტრუქტურა, საბაზრო გარემო, ბიზნესის განვითარების დონე, ცოდნა და ტექნოლოგიები და შემოქმედებითი პროდუქტები. 2022 წელს საქართველოს ქულა შემცირდა ინსტიტუტების, ადამიანური კაპიტალის, საბაზრო გარემოსა, და შემოქმედებითი პროდუქტების ჭრილში. ამის მიზეზი, ჩვენი აზრით, არასაკმარისი ინვესტიციების ოდენობაა კვლევისა და განვითარების (R&D) სფეროში, რაც აფერხებს ინოვაციებს და ტექნოლოგიურ წინსვლას. შესაბამისად შედეგად გვაქვს საქართველოს გლობალურ რეიტინგში უკუსვლა. ვფიქრობთ, რომ სასწავლო დაწესებულებებისა და მთავრობის თანამშრომლობა დიდად მნიშვნელოვანია ინოვაციების განვითარებისთვის. თანამშრომლობის ქსელებისა და ცოდნის გაზიარების პლატფორმების გაძლიერებით პარალელურად გაძლიერდება საქართველოს ინოვაციური შესაძლებლობებიც და დაინერგება მეტი შემოქმედებითი პროდუქტები. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ შეფასების საერთო ვარდნის მიუხედავად, საქართველო დაწინაურდა 5 პოზიციით გლობალურ რეიტინგში ინსტიტუტების შემთხვევაში. ეს

გაუმჯობესება შეიძლება მიეწეროს ინდექსის მეთოდოლოგიურ ცვლილებას. ცოდნისა და ტექნოლოგიების კომპონენტში შეფასებამ გაუმჯობესება აჩვენა, თუმცა რეიტინგი უცვლელი დარჩა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოს განვითარების ტემპი კვლავ ჩამორჩება სხვა ქვეყნებს. (საქართველოს განვითარების სტრატეგია 2030)

დიაგრამა 1



წყარო: idfi.ge/ge

დიაგრამა 2



წყარო: idfi.ge

2023 წელს გამოქვეყნებული ფრეიზერის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიხედვით, საქართველო გლობალურ რეიტინგში 25-ე ადგილი დაიკავა. ეს მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით გაუმჯობესებულია. ეს წინსვლა, ჩვენი აზრით, შეიძლება მიეწეროს თავისუფალი ვაჭრობის ინიციატივების გაფართოებასა და ზრდას. კერძოდ, გაუმჯობესდა სახელმწიფო მოხმარებისა და სახელმწიფო სუბსიდიების ქულები. გარდა ამისა, თავისუფალი ვაჭრობის კონტექსტში საგრძნობლად გაიზარდა კონტროლი კაპიტალისა და შრომის მოძრაობაზე.

დიაგრამა გვიჩვენებს საქართველოს პოზიციას ფრეიზერის ეკონომიკური თავისუფლების რეიტინგში 2000-დან 2023წლამდე.

დიაგრამა 3



წყარო: https://www.fraserinstitute.org/

2023 წელს ბიზნეს სექტორის ბრუნვის ზრდას ვუკავშირებთ საქართველოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობას, განსაკუთრებით ასოცირების ხელშეკრულების (AA) ხელმოწერას და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის განხორციელებას. (DCFTA). ამ ინიციატივებმა დადებითი გავლენა იქონია საქართველოს ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობაზე.

ბიზნეს სექტორის ბრუნვის სტრუქტურა, 2023 წელი I კვარტალი

დიაგრამა 5



წყარო: https://www.geostat.ge

DCFTA-მ ხელი შეუწყო საქართველოსა და ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის ვაჭრობის ზრდას ტარიფების შემცირებით, სავაჭრო დაბრკოლებების აღმოფხვრით და რეგულაციების სტანდარტიზაციით. შესაბამისად, ქართულმა პროდუქტებმა მოიპოვეს ევროკავშირის ბაზარზე წვდომა, რამაც ხელი შეუწყო ბიზნეს სექტორში ბრუნვის ზრდას. ვაჭრობის, ინვესტიციების და კომერციული მცდელობების ზრდამ გააძლიერა მაჩვენებლები სხვადასხვა სექტორში, რომელიც მოიცავს წარმოებას, სოფლის მეურნეობას, მრეწველობას და საბითუმო და საცალო ვაჭრობას. (საქართველო ფრეიზერის ეკონომიკური თავისუფლების რეიტინგში 25-ე ადგილზეა, 2023)

უნდა აღინიშნოს „შუა დერეფნის“ ინიციატივა, რომელიც მიზნად ისახავს დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის კავშირის გაძლიერებას უფრო ეფექტური და საიმედო გზის შექმნით. ჩვენი აზრით, „შუა დერეფნის“ მარშრუტის იდეის რეალიზებისთვის აუცილებელია ტრანსპორტირების ტარიფების შემცირება ყაზახეთსა და აზერბაიჯანში. გარდა ამისა, ჩვენი სახელმწიფოსთვის „შუა დერეფანი“ წარმოადგენს ერთგვარ სირთულეს, ვინაიდან ამ პროექტს არაერთი გამოწვევა ახლავს თან.

ჩვენი აზრით, ჩვენს ქვეყანას შეუძლია, უფრო აქტიურად იყოს ჩართული დერეფნის ერთიან სისტემად ქცევის პროცესში, რადგან ტვირთგამტარუნიარიანობის ზრდისთვის, მნიშვნელოვანია სწორედ საქართველოს, აზერბაიჯანისა და ყაზახეთის შორის დამყარდეს მყარი სარკინიგზო ურთიერთობა. გარდა ამისა, რადგან საქართველო ამ ეტაპისთვის ენერგოდეფიციტური ქვეყანაა, პროექტის მეშვეობით შესაძლებელია მოხდეს რუმინეთის და საქართველოს ენერგოსისტემის დაკავშირება და შევძლოთ ელექტროენერგიის ექსპორტი. გარდა ამისა, ვინაიდან „შუა დერეფნისთვის“ საჭიროა მძლავრი (1000-1500 მეგავატი) კაბელის გაყვანა შავი ზღვის ქვეშ, ეს შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხს გამოაცოცხლებს და კიდევ უფრო მჭიდრო კავშირი გვექნება ევროკავშირთან.

დასკვნები

საქართველოს, როგორც განვითარებადი ქვეყნის ბიზნეს გარემოს სრულყოფისთვის, გამოვყეთ რამდენიმე საკვანძო ინდუსტრია, რომელსაც, ჩვენი აზრით, ზრდისა და ინოვაციის ყველაზე დიდი პოტენციალი აქვს, ევროპულ მიდგომებთან და გამოცდილებებთან სინთეზის შემთხვევაში. აქ მოცემულია ამ სექტორების აღწერა და მათი განვითარების გეგმა:

ტექნოლოგია და ინოვაცია:

ტექნოლოგიების სექტორი მოიცავს პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავებას, საინფორმაციო ტექნოლოგიების (IT) სერვისებს, ციფრულ გადაწყვეტილებებს და ინოვაციებზე ორიენტირებულ ინდუსტრიებს. ინდუსტრია 4.0 ტექნოლოგიებისკენ გლობალური ცვლასთან ერთად, საქართველოს აქვს მნიშვნელოვანი პოტენციალი, გამოიყენოს თავისი მუშახელი, რომ გახდეს ტექნოლოგიებისა და ინოვაციების რეგიონალური ცენტრი.

განვითარების გეგმა:

მარეგულირებელი გარემოს გამარტივება ტექნოლოგიური სატრაპებისთვის, მათ შორის გამარტივებული რეგისტრაციის პროცესების, საგადასახადო შეღავათებისა და ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ჩათვლით.

ინვესტიცია ციფრულ ინფრასტრუქტურასა და ციფრულ ტექნოლოგიებზე წვდომის გასაუმჯობესებლად. ტექნოლოგიური პარკების, ინოვაციების ჰაბებისა და ინკუბატორების დაარსება.

კვლევისა და განვითარების (R&D) ინიციატივების დაფინანსება და მხარდაჭერა, ტექნოლოგიების გადაცემა და ინოვაციური გადაწყვეტილებების კომერციალიზაცია.

სოფლის მეურნეობა:

სოფლის მეურნეობა მნიშვნელოვანი სექტორია საქართველოში, ვინაიდან ჩვენი ქვეყანა ნაყოფიერი მიწით, ხელსაყრელი კლიმატური პირობებით და მდიდარი სასოფლო-სამეურნეო მემკვიდრეობით გამოირჩევა. აგრობიზნესი მოიცავს ფერმერულ

მეურნეობას, საკვების გადამუშავებას, აგროტექნოლოგიურ და სასოფლო-სამეურნეო ექსპორტს, რაც დამატებითი ღირებულების წარმოების, მდგრადი პრაქტიკისა და ბაზრის დივერსიფიკაციის შესაძლებლობას იძლევა.

განვითარების გეგმა:

მცირე ფერმერების მხარდაჭერა სოფლის მეურნეობის სერვისების გაფართოება

სასწავლო პროგრამების და მოდერნიზაციისა და პროდუქტიულობის გაზრდის დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობის მეშვეობით.

მდგრადი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკების ხელისშეწყობა, მათ შორის ორგანული მეურნეობა, მოსავლის დივერსიფიკაცია და წყლის რესურსების მართვა, რათა გაიზარდოს მდგრადობა კლიმატის ცვლილების მიმართ.

ინოვაციებისა და ტექნოლოგიების დანერგვა სოფლის მეურნეობაში, როგორიცაა ფერმერული მეურნეობა და სასოფლო-სამეურნეო დრონები, რათა გაიზარდოს პროდუქტიულობა და ეფექტურობა.

ტურიზმი

ტურიზმი, ჩვენი აზრით, სასიცოცხლო მნიშვნელობის სექტორია საქართველოს ეკონომიკისთვის, რასაც განაპირობებს მისი მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა, მრავალფეროვანი ლანდშაფტები და ისტორიული ღირსშესანიშნაობები. ტურიზმისა და სტუმართმოყვარეობის ინდუსტრია მოიცავს საცხოვრებელს, ტრანსპორტირებას, ატრაქციონებსა და ტურისტულ მომსახურებას, რაც საერთო ჯამში ემსახურება სამუშაო ადგილების შექმნას, შემოსავლების გენერირებას და ეკონომიკური ზრდის შესაძლებლობების წარმოშობას.

განვითარების გეგმა:

ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, მათ შორის სასტუმროები, აეროპორტები, გზები და ტურისტული ატრაქციონები, რათა შესაბამისად გაუმჯობესდეს ვიზიტორთა გამოცდილება და მოიზიდოს მეტი საერთაშორისო ტურისტი.

ინვესტიციით ჩადება მარკეტინგულ და სარეკლამო კამპანიებში საქართველოს, როგორც ტურისტული დანიშნულების ადგილის ცნობადობის ასამაღლებლად

ადამიანური კაპიტალის განვითარება ტურიზმის ინდუსტრიაში პროფესიული სწავლების, ენის ცოდნის განვითარებისა და სტუმართმოყვარეობის (hospitality) მენეჯმენტის პროგრამების მეშვეობით მომსახურების ხარისხისა და პროფესიონალიზმის გასაუმჯობესებლად.

წარმოება

წარმოება გადამწყვეტ როლს თამაშობს საქართველოს ეკონომიკაში, ექსპორტზე ორიენტირებული ინდუსტრიების შესაძლებლობებით, როგორიცაა ტექსტილი, საავტომობილო კომპონენტები, ელექტრონიკა და ფარმაცევტული მრეწველობა. სტრატეგიული მდებარეობის, კვალიფიციური მუშახელისა და შეღავათიანი სავაჭრო ხელშეკრულებების გამოყენებით, საქართველოს შეუძლია უცხოური ინვესტიციების მოზიდ-

ვა და კონკურენტუნარიანი წარმოების სექტორების განვითარება.

განვითარების გეგმა:

წარმოებაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI) წახალისების უზრუნველყოფა, მათ შორის, საგადასახადო და საბაჟო გადასახადის შეღავათები.

ინდუსტრიული, სპეციალური ეკონომიკური ზონების (SEZ) და ექსპორტის გადამამუშავებელი ზონების (EPZs) განვითარების მხარდაჭერა ინფრასტრუქტურის უზრუნველსაყოფად და საწარმოო საქმიანობის ლოჯისტიკური მხარდაჭერისთვის.

მიწოდების ჯაჭვის კავშირების და სატრანსპორტო ქსელების გაძლიერება, რათა ხელი შეუწყოს საქონლისა და ნედლეულის გადაადგილებას საწარმოო ობიექ-ტებში და უკან.

თითოეული ჩვენ მიერ შემოთავაზებული სექტორი იყენებს საქართველოს არსებულ ძლიერ მხარეებსა და რესურსებს. მაგალითად, სოფლის მეურნეობაში გამოყენებული იქნება ქვეყნის ნაყოფიერი მიწა და ხელსაყრელი კლიმატური პირობები, ხოლო ტურიზმის სფეროში საქართველოს მდიდარი კულტურულ მემკვიდრეობა და მრავალფეროვანი ლანდშაფტი.

გარდა ამისა, საქართველოს შეუძლია გამოიყენოს ევროკავშირის დაფინანსების პროგრამები, როგორიცაა "ჰორიზონტი ევროპა" და "COSME" (Competitiveness of Enterprises and Small and Medium-sized Enterprises), ტექნოლოგიური სტარტაპების, კვლევითი პროექტების და ინოვაციებზე ორიენტირებული საწარმოების მხარდასაჭერად. ეს მოიცავს, როგორც გრანტებსა და სესხებს, ასევე კაპიტალის ინვესტიციებს R&D საქმიანობის დასაფინანსებლად, ტექნოლოგიების დანერგვასა და ბიზნესის გაფართოებისთვის. გარდა ამისა, შესაძლებელია ქართული ციფრული ინფრასტრუქტურა, მონაცემთა დაცვის რეგულაციები და კიბერუსაფრთხოების სტანდარტები ევროკავშირის მოთხოვნებთან შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი, რათა ხელი შეუწყოს ბიზნესების ტექნოლოგიური პროდუქტებისა და სერვისების ბაზარზე წვდომას.

საქართველოს ასევე შეუძლია წვდომა ევროკავშირის დაფინანსების პროგრამებზე, როგორიცაა ევროპის რეგიონული განვითარების ფონდი (ERDF) და ევროპის საზღვაო და მეთევზეობის ფონდი (EMFF) ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების, მემკვიდრეობის დაცვისა და მდგრადი ტურისტული ინიციატივების მხარდასაჭერად.

გამოყენებული ლიტერატურა/REFERENCES

1. Ivane Javakhishvili Tbilisi State University, (2017) "European Union business environment" lecture courses https://digitallibrary.tsu.ge/book/2021/july/books/korganashvili-evrokavshiris-biznesgaremo-saleqcio-kursi.pdf

2. Promotion of business development and digitization in Georgia (2022) https://www.oecd.org/eurasia/competitiveness-programme/Fostering%20Business%20Development%20and%20Digitalisation%20in%20Georgia%20with%20cover.pdf
3. Development strategy of Georgia https://www.gov.ge/files/428_85680_321942_khedva-2030-saqarthvelos-ganvitharebis-strategia-1.pdf
4. "Georgia ranks 25th in Fraser's ranking of economic freedom" https://forbes.ge/blogs/saqarthvelo-phreizeris-ekonomikuri-thavisuphlebis-reitingshi-25-e-adgilzea/
5. https://www.fraserinstitute.org/
6. Results of enterprise activity https://www.geostat.ge/media/54012/of enterprise-activity-results---%282023-I-quarter of the year%29.pd